ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქუთაისი 2006“ (საიდენტიფიკაციო კოდი 212880168) დაფუძნებულია 2006 წლის 30 სექტემბერს საქართველოში, (რეგისტრირებული ქალაქ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რეგისტრაცის N 685/021) დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი შოთა რუსთაველის გამზირი N5. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინვესტიციების ჩადება და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება მოგების მიღების და სასრგებლო ეფექტის მიღწევის მიზნით, კომპანიის დამფუძნებელი და 100%-ის წილის მფლობელი არის შპს ბ დ ა ნ ინვესტი (საიდენტიფიკაციო კოდი 404636499). კომპანიას 2007 წლის 07 აგვისტოს განახორციელა ინვესტიცია შპს ,, ბ. გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში“ , რომელიც წარმოადგენს შვილობილ კომპანიას, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მართვის უფლებით გადაცემისა და მისი რეაბილიტაციის შესახებ. (დაფუძნებულია 2002 წლის 10 ივნისს საქართველოში, (რეგისტრირებული ქალაქ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რეგისტრაცის N12/5/გ-1265) დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი ვაჟა ფშაველას ქუჩა N1. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბავშვო ატრაქციონებით მომსახურება. დამატებით საქმიანობებს წარმოადგენს სხვადასხვა სახის სუვენირების რეალიზაცია და ფართების გაქირავება.)

ბუღალტრული აღრიცხვისათვის საწარმო იყენებს ბუღალტრულ პროგრამას ,,ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 17 -ს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია

ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითეულიპერიოდისათვის.

4.1 ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენება

კომპანიამ 2018 წლიდან დაიწყო ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

4.2 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება .

4.3 ფულადისახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ ვალუტაში.

4.4 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად,რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი,თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.5 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც

არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.

4.6 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსხურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად;ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4.7 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ.

5. განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ანგარიშგება საქმიანობის შედეგების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

ნეტო ამონაგები	**184963**
საქონლის გაყიდვიდან	456
მომსახურების გაწევიდან	59409
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0
სხვა	125098

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი მოიცავს სხვადასხვა სახის სუვენირების რეალიზაციას, რომელიც შეადგენს 456 ლარს,მომსახურების გაწევიდან შემოსავალი მოიცავს საბავშვო ატრაქციონების მომსახურეობას 59409 ლარს და სხვა შემოსავალი მოიცავს იჯარიდან მიღებულ შემოსავალს 125098 ლარს, სულ ამონაგები საანგარიშგებო პერიოდში ჯამში შეადგენს 184963 ლარს.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**-414**
საწყისი მარაგები	255
მარაგების შესყიდვა	202
გადამუშავების დანახარჯები	0
საბოლოო მარაგები	43

საწყისი მარაგები მოიცავს სხვადასხვა სახის სუვენირების და გამაგრილებელი სასმელების ნაშთს 255 ლარს,გამაგრილებელი სასმელების შეძენა საანაგარიშგებო პერიოდში შეადგენს 202 ლარს, რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება -414 ლარს, საბოლოო მარაგების ნაშთი საანაგრიშგებო პერიოდის დასასრულისთვის შეადგენს 43 ლარს.

დასაქმებულთა ანაზღაურება	109700
ცვეთა და ამორტიზაცია	265944
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	158002
სულ საოპერაციო ხარჯები	533646

დასაქმებულთა ხელფასმა შეადგინა 109700 ლარი, ცვეთა და ამორტიზაციამ 265944 ლარი, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 158002 ლარი.სულ საოპერაციო ხარჯი 533646 ლარი.

დასახელება	2020 წ
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადისხარჯამდე	-349097
მოგების გადასახადი	0
მოგება /ზარალი	-349097
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-349097
მოგება/ ზარალი მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	-349097
მოგება/ზარალი არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	0

მთლიანმა სრულმა მოგება/ზარალმა 2020 წელს შეადგინა -349097 ლარი,რომელიც გადატანილი იქნა გაუნაწილებელ მოგებაში.

შპს ,, ქუთაისი2006 “

საიდ/კოდი 212880168

კონსოლიდირებული ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ

საქმიანობის შედეგები	**31/12/2020**	**31/12/2019**
ნეტო ამონაგები	184963	487312
საქონლის გაყიდვიდან	456	0
მომსახურების გაწევიდან	59409	486401
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	125098	911
გაყიდვების თვითღირებულება	-414	-29
საწყისი მარაგები	0	-284
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	184549	487283
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-109700	-207268
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-265944	-277221
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-158002	-249292
სულ საოპერაციო ხარჯები	-533646	-733781
საოპერაციო მოგება	-349097	-246498
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-349097	-246498
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-349097	-246498

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-349097	-246498
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	-349097	-246498
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	0	0
მოგება / (ზარალი)	-349097	-246498
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	-349097	-246498
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-349097	-246498
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4153839	4432231
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-31894
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3804742	4153839

6. განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შენიშვნა N1 - *ფული და ფულადი ექვივალენტები*

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2020 წელი	19276
1	სალარო	18107
2	ბანკი	1169

ფული და ფულის ექლვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში და სალარო მეურნეობაში . კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ეკვივალენტებზე იყო 8116 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 301813 ლარი, გასულია 290653 ლარი და ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 19276 ლარი.

შენიშვნა N 2 - სავაჭრო მოთხოვნები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2020 წელი	13796
1	მოთხოვნები მიწოდებიდან	13796

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 35251 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 273664 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად 295119 ლარი და დარჩა მისაღები 13796 ლარი.

შენიშვნა N3 -მარაგები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2020 წელი	43
1	მზა პროდუქცია	43

საწყისი მარაგების ნაშთი შეადგენს 255 ლარს. მარაგების შემენა საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს 202 ლარს,რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 414 ლარს,საბოლოო მარაგების ნაშთი საანაგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის შეადგენს 43 ლარს.

შენიშვნა N4 -არამატერიალური აქტივები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2020 წელი	72977
1	არამატერიალური აქტივები	72977

არამატერიალური აქტივი წლის დასაწყისში შეადგენს 75028 ლარს, დარიცხული ცვეთა 2051 ლარი, რომელიც წარმოადგენს უფლებას მართვის მოპოვებისათვის,წლის ბოლოს შეადგინა 72977 ლარი.

შენიშვნა N5 -ძირითადი საშუალებები

დასახელება	1	2	3	4	*სულ*
ბალანსი 31 დეკემბერი 2019 წელი	206783	3865450	48883	5795	4126911
შემოსვლა					
გასვლა					
ცვეთა		253504	6552	3836	263892
ბალანსი 31 დეკემბერი 2020 წელი	206783	3611946	42331	1959	3863019

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ცხრილში, სადაც ჯგუფებად არის გაერთიანებული ძირითადი საშუალებები:

1 ჯგუფი - მიწა. 2. ჯგუფი - შენობები და ნაგებობები. 3. ჯგუფი - მანქანა-დანადგარები.

4. ჯგუფი- ოფისის არჭურვილობა და ავეჯი.

შენიშვნა N 6 - სავაჭრო ვალდებულებები

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2020 წელი	5379
1	სავაჭრო ვალდებულებები	5379

სავაჭრო ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში იყო 8554 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა 117252 ლარი, გასტუმრებული იქნა 120427 ლარი, ხოლო სავაჭრო ვალდებულების ნაშთმა საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის შეადგინა 5379 ლარი.

შენიშვნა N7 - ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2020 წელი	45620
1	ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	45620

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ წლის დასაწყისში იყო 21705 ლარი და წლის ბოლოსათვის დარჩა 45620 ლარი.

<u>შენიშვნა N8- საგადასახადო ვალდებულებები</u>

N	ბალანსი 31 დეკემბერი 2020 წელი	112036
1	სულ საგადასახადო ვალდებულებები	112036

წლის ბოლოს საწარმოს ერიცხება საგადასახადო ვალდებულებები 112036 ლარი.

შენიშვნა N9 - კაპიტალი

N	*დასახელება*	*გაუნაწილებელი მოგება*	*საწესდებო კაპიტალი*	*სხვა რეზერვები*	*ჯამურად*
1	ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით	-7753706	431130	11476415	4153839
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	-349097		0	- 349097
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა				
4	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-8102803	431130	11476415	3804742

საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში იყო 4153839 ლარი, შემცირდა ზარალით - 349097ლარით, შესაბამისად საკუთარი კაპიტალი 2020 წლის ბოლოსათვის შეადგნს 3804742 ლარს.

შპს „ქუთაისი 2006"

საიდ/კოდი 212880168

კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	19276	8116	21283
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	13796	35251	22248
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		0	0	0
მარაგები	3	43	255	284
მზა პროდუქცია		0	0	0
სხვა		43	255	284
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		0	0	0
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0	0
გადაფასების მოდელით		0	0	0
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	4	72977	75028	77079
ძირითადი საშუალებები	5	3863019	4126911	4389105
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		3969111	4245561	4509999
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	9	5379	8554	8017
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7	45620	21705	11908
საგადასახადო ვალდებულებები	8	112036	61463	57843
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0	
მიღებული გრანტები		0	0	
სხვა ვალდებულებები		1334	0	
სულ ვალდებულებები		164369	91722	77768
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		431130	431130	431130
საემისიო შემოსავალი		0	0	

გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-8102803	-7753706	-7507208
გადაფასების რეზერვი		0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		11476415	11476415	11508309
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		3804742	4153839	4432231
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	9	3804742	4153839	4432231
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3969111	4245561	4509999
სულ მოკლევადიანი აქტივები		30982	41533	43815
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		55522	90193	77769

ფულადი სახსრების მოძრაობა	**2020 წ**
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	11160
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	11160
სავალუტო კურსის ეფექტი	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8116
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	19276